გამარჯვება, რომელიც მეტს გვავალებს

მიღება საბჭოთა ოლიმპიელთა პატივსაცემად

გუშინწინ სსრ კავშირის მთავრობამ მიღება მოაწყო ზამთრის XII ოლიმპიურ თამაშებში გამარჯვებულ საბჭოთა სპორტსმენთა პატივსაცემად. საღამოზე თავი მოიყარეს საუკეთესოთა შორის საუკეთესოებმა, საბჭოთა სპორტის ლიდერებმა, „თეთრი ოლიმპიადის" გმირებმა. ამ დიდ ასპარეზობაში საბჭოთა ოლიმპიელთა უპირატესობა უდავო იყო.

— ინსბრუკში ჩვენმა ოლიმპიელებმა დაიპყრეს სპორტის მოყვარულთა გულები,— აღნიშნა მფრინავმა-კოსმონავტმა ა. ლეონოვმა.

მიღება გახსნა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარემ ს. პავლოვმა. მან კიდევ ერთხელ მიულოცა დიდი გამარჯვება ყველა საბჭოთა ოლიმპიელს — ინსბრუკის თამაშების ლაურეატებს, მათ მწვრთნელებს, სპეციალისტებს. ს. პავლოვმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საბჭოთა სპორტსმენები თავიანთ მიღწევებს სკკპ XXV ყრილობას უძღვნიან.

სიტყვით გამოვიდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, მოსკოვის 1980 წლის ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე ი. ნოვიკოვი. სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის დავალებით მან წარმატება მიულოცა საბჭოთა ოლიმპიელებს. ი. ნოვიკოვმა აღნიშნა, რომ საბჭოთა სპორტსმენთა წარმატებები ოლიმპიურ თამაშებში და სხვა დიდ საერთაშორისო შეჯიბრებებში კიდევ ერთხელ ადასტურებს პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ზრუნვას ფიზკულტურული მოძრაობის შემდგომი წინსვლა-განვითარებისთვის.

წლევანდელი წელი განსაკუთრებულია — ოლიმპიური. წინაა კიდევ ერთი დიდი გამოცდა — — ზაფხულის ოლიმპიური თამაშები. საბჭოთა სპორტის სახელოვანმა წარმომადგენლებმა მონრეალის სარბიელზეც წარმატებით უნდა ატარონ ინსბრუკში მოპოვებულ გამარჯვებათა ესტაფეტა.

საღამოზე ყველა საბჭოთა ოლიმპიელის გრძნობები გამოხატა ჰოკეისტთა ნაკრების კაპიტანმა ბ. მიხაილოვმა. მან სპორტსმენთა სახელით გულითადი მადლობა გადაუხადა კომუნისტურ პარტიას და საბჭოთა მთავრობას დიდი ყურადღებისა და ზრუნვისთვის. შემდეგ მიხაილოვმა დადო პირობა, რომ ოლიმპიელები მუდამ სახელოვნად დაიცავენ საბჭოთა სპორტის ღირსებას მსოფლიოს სტადიონებზე.

მიღების მონაწილეებისთვის გაიმართა დიდი კონცერტი.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 36 (5586)

1976 წ.
21 თებერვალი,
შაბათი.
ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

„ლელო" წერილის კვალდაკვალ

სამინისტროს პასუხი

გუშინწინ „ლელოში" დაიბეჭდა წერილი „ალებ-მიცემობას" ბოლო უნდა მოეღოს", რომლის გამოქვეყნებისთანავე საქართველოს სსრ განათლების სამინისტროში შეკრიბეს ბავშვთა სპორტსკოლების ხელმძღვანელები, ნორჩ ფეხბურთელთა მწვრთნელები, განათლების სამინისტროს რესპუბლიკური სპორტსკოლის მთავარი მწვრთნელ-მასწავლებლები. თათბირზე მოიწვიეს თბილისის ფეხბურთის ფედერაციის თავმჯდომარე ბ. პაიჭაძე, რესპუბლიკის სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველოს უფროსი ა. კოტრიკაძე და სხვ.

გაიმართა პრინციპული, მკაცრი მსჯელობა წერილში მოყვანილი ფაქტების შესახებ.

განათლების სამინისტრომ ამ შემთხვევასთან დაკავშირებით გამოსცა საგანგებო ბრძანება, რომელსაც ქვემოთ ვაქვეყნებთ.

19 თებერვალს გაზეთ „ლელოს" ფურცლებზე გამოქვეყნდა წერილი სათაურით „ალებ-მიცემობას" ბოლო უნდა მოეღოს". წერილიდან ჩანს, რომ თბილისის განათლების განყოფილების ბავშვთა და მოზარდთა სპეციალიზებული საფეხბურთო სკოლის ორი გუნდი გამოდიოდა საქალაქო პირველობაში მინი-ფეხბურთში სპორტსაზოგადოება „ლოკომოტივის" სახელით და რომ ამ სპორტსკოლის ერთი გუნდი განზრახ, უბრძოლველად დანებდა მეორეს, რითაც მეტოქეს საშუალება მისცა ქვეჯგუფში პირველი ადგილი დაეკავებინა.

დადასტურდა, რომ განათლების განყოფილების საფეხბურთო სპორტსკოლის გუნდები შეჯიბრებაში მართლაც საზოგადოება „ლოკომოტივის" სახელით მონაწილეობდნენ. ამით სკოლის ხელმძღვანელობამ (დირექტორი შ. მერკვილაძე, სასწავლო ნაწილის გამგე თ. კუბლაშვილი) უხეშად დაარღვია განათლების სამინისტროს მითითება, ჩაიდინა სიყალბე.

სპორტსკოლის ხელმძღვანელთა და შეჯიბრების მთავარ მსაჯთა კოლეგიის თანხმობით მწვრთნელებმა გ. მუმლაძემ, რ. გალუსტიანმა, ვ. მელაშვილმა სარბიელზე გაიყვანეს გუნდები (დაკომპლექტებული 1963 და 1964 წლებში დაბადებული მოსწავლეებით), რომლებსაც საზოგადოება „ლოკომოტივთან" არავითარი კავშირი არა აქვთ.

მიუხედავად იმისა, რომ საფეხბურთო სპორტსკოლის ხელმძღვანელობა, მწვრთნელები, თბილისის ფეხბურთის ფედერაცია (თავმჯდომარე ბ. პაიჭაძე) უარყოფენ თამაშის განზრახ წაგების ფაქტს, ფეხბურთის ცალკეული სპეციალისტების, ზოგიერთი მშობლის, რესპუბლიკის სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველოს ხელმძღვანელობის (სამმართველოს უფროსი ა. კოტრიკაძე) ცნობით, ეს ფაქტი სინამდვილეს შეეფერება.

ყოველივე ზემოთქმული იმაზე მეტყველებს, რომ თბილისის განათლების განყოფილების საფეხბურთო სპორტსკოლის მწვრთნელ-მასწავლებელთა კოლექტივმა ვერ გამოიტანა სათანადო დასკვნები რესპუბლიკის სპორტკომიტეტის მუშაობაში არსებული სერიოზული ნაკლოვანებების შესახებ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ცნობილი დადგენილებიდან, აგრეთვე, განათლების მუშაკთა რესპუბლიკური აქტივისა (1975 წლის აპრილი) და განათლების სამინისტროს შესაბამისი დოკუმენტებიდან.

თბილისის განათლების განყოფილებამ (გამგე თ. ეგაძე, ფიზიკური აღზრდის სექტორის გამგე ა. გიორგობიანი) ჯერ კიდევ ვერ შეძლო მისდამი დაქვემდებარებულ სპორტსკოლებში შეექმნა ისეთი ატმოსფერო, რომელიც გამორიცხავს თვალის ახვევას, სიყალბეს, ანტიპედაგოგიურ გამოვლინებებს, სპორტსმენისთვის შეუფერებელ საქციელს.

განათლების სამინისტროს ბავშვთა და მოზარდთა უმაღლესი სპორტული ოსტატობის რესპუბლიკური სკოლის მთავარი მწვრთნელი-მასწავლებელი გ. მუმლაძე თვითონვე გახდა სიყალბის თანაზიარი.

აღსანიშნავია, რომ ეს ფაქტი შესაძლებელი გახდა „ლოკომოტივის" სტადიონის დირექციის არასწორი პოზიციის გამო, რომელმაც შეჯიბრებაში მონაწილეობის მისაღებად წარადგინა საზოგადოება „ლოკომოტივში" არარსებული გუნდი.

ყოველივე ზემოთქმულის გამო ვბრძანებ:

გაზეთ „ლელოს" ფურცლებზე დაბეჭდილ წერილში გამოქვეყნებული კრიტიკა მიჩნეულ იქნეს სამართლიანად;

აღინიშნოს თბილისის განათლების განყოფილების სუსტი მუშაობა ბავშვთა სპორტში თვალის ახვევის, სიყალბისა და ანტიპედაგოგიური გამოვლინებების აღმოსაფხვრელად, მწვრთნელ-მასწავლებლების იდეურ-ზნეობრივი დონის ასამაღლებლად, სპორტულ სკოლებში პრინციპულობის, ჯანსაღი ატმოსფეროს შესაქმნელად.

თბილისის განათლების განყოფილებამ იმსჯელოს აღნიშნული ფაქტის თაობაზე, მკაცრად დასაჯოს დამნაშავენი და მიიღოს ზომები, რათა მსგავსი შემთხვევები აღარ გამეორდეს, ხოლო შედეგები აცნობოს განათლების სამინისტროს 10 დღის განმავლობაში; 25 მარტამდე შეისწავლოს და განიხილოს საფეხბურთო სპეციალიზებული სკოლის სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა; დასახოს ღონისძიებანი ბავშვებთან მომუშავე მწვრთნელ-მასწავლებლების იდეურ-ზნეობრივი, პროფესიული და კულტურული დონის ამაღლებისთვის.

განათლების სამინისტროს ბავშვთა და მოზარდთა უმაღლესი სპორტული ოსტატობის რესპუბლიკური სკოლის მთავარი მწვრთნელ-მასწავლებელი გ. მუმლაძე არაპედაგოგიური საქციელისთვის სამსახურიდან მოხსნას იმსახურებს, მაგრამ მხედველობაში იქნეს მიღებული, რომ იგი მხოლოდ მესამე თვეა, რაც ამ თანამდებობაზე მუშაობს და გამოეცხადოს სასტიკი საყვედური.

ეცნობოს ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს და რესპუბლიკის სპორტკომიტეტს „ლოკომოტივის" სტადიონის ხელმძღვანელობის უპრინციპობის შესახებ.

აღნიშნული ბრძანება განხილული იქნეს განათლების განყოფილების საბჭოებისა და სპორტსკოლების პედსაბჭოების სხდომებზე.

ნ. ფოფხაძე,
საქართველოს სსრ განათლების მინისტრის მოადგილე.

ხელბურთი

ჩვენების ორი მოგება

ზაპოროჟიე, 19 თებერვალი. აქ გრძელდება ხელბურთელ ვაჟთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის პირველი წრის მეორე ტური. პირველ მატჩში წაგების მერე თბილისის „ბურევესტნიკმა" გუშინ ანგარიშით 23:17 (8:7) დაამარცხა ზაპოროჟიეს ინდუსტრიული ინსტიტუტის გუნდი, დღეს კი უალრესად მწვავე თამაში მოუგო მინსკის არმიელთა გუნდს — 29:28. თბილისელებმა ასევე ერთი ბურთის უპირატესობით გაიმარჯვეს პირველ ტაიმში — 12:11.

სხვა შეხვედრების შედეგები ასეთია: „კუნცევო" (მოსკოვი) — ასკ (ლვოვი) 19:15 (7:8), ცსკა — „უნივერსიტეტი" (კრასნოდარი) 31:21 (15:14), საავიაციო ინსტიტუტი (მოსკოვი) — ასკ (მინსკი) 28:18 (16:9), „ალუმინსტროი" (ზაპოროჟიე) — ასკ (კიევი) 18:31 (8:17), „უნივერსიტეტი" — „კუნცევო" 21:21 (14:11), საავიაციო ინსტიტუტი — ასკ (კიევი) 27:26 (15:13), „ალუმინსტროი" — ცსკა 23:31 (10:12).

● ●

დასკვნითს ტურში

დონის როსტოვი, 18 თებერვალი. დღეს აქ დამთავრდა ხელბურთელ ქალთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის პირველი წრის მატჩები. მათი შედეგები ასეთია: უპი (სვერდლოვსკი) — „დინამო" (კიშინიოვი) 21.24 (11:12), „როსტსელმაში" (დონის როსტოვი) — ზიი (ზაპოროჟიე) 16:11 (8:4), „ჟალგირისი" (კაუნასი) — „ცვეტმეტი" (კრასნოიარსკი) 14:12 (8:8), სპორტული საქონლის ფაბრიკა (ბაქო) — „მეტალურგი" (კიევი) 19:18 (9:10), „სპარტაკი" (კიევი) — „ლუჩი" (მოსკოვი) 22:13 (15:8).



სურათზე: დახურულ შენობაში ვაჟთა შეჯიბრების მომენტი თარჯრბენში.

რეკორდები

ტორონტო, 17 თებერვალი. ადგილობრივ დარბაზში გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებაში პოლონელმა ჭოკით მხტომელმა, ამ სახეობაში ევროპის ერთ-ერთმა უძლიერესმა მძლეოსანმა ვლადისლავ კოზაკევიჩმა 1 სანტიმეტრით გააუმჯობესა თანამემამულე ტადეუშ სლიუსარსკის მსოფლიო მიღწევა. კოზაკევიჩმა 557 სმ სიმაღლეზე გადებული თამასა გადალახა.

მაღალი შედეგები

ტრჟინეცი, 17 თებერვალი. პრაღაში გამართული ასპარეზობის შემდეგ სიმაღლეზე ხტომის საუკეთესო ოსტატებმა ჩეხოსლოვაკიის ამ ქალაქში იასპარეზეს. ქალთა შორის კვლავ ბადალი არ ჰყავდა როზმარი აკერმანს (გდრ), რომელმაც 191 სმ გადალახა. ვაჟთა შეჯიბრებაში გაიმარჯვა სსრ კავშირის ჩემპიონმა, მინსკელმა ა. გრიგორიევმა — 220 სმ.

ისევე როგორც ღია სარბიელზე

21–22 თებერვალს მიუნჰენის „ოლიმპიაჰალეს" ტარტანის სარბიელზე თავს მოიყრიან ევროპის 30 ქვეყნის საუკეთესო მძლეოსნები, რომლებიც კონტინენტის ზამთრის ჩემპიონატს გაითამაშებენ.

ეს ევროპის VII ჩემპიონატია დახურული შენობებისთვის (უწინდელი შეჯიბრებები ჩატარდა ვენაში, სოფიაში, გრენობლში, როტერდამში, გეტებორგსა და კატოვიცეში).

ახლანდელ გათამაშებას საგანგებო მნიშვნელობა ენიჭება, ვინაიდან ახლოვდება მონრეალის ოლიმპიური თამაშები და მანამდე ჩატარებული ყველა დიდი შეჯიბრება ფაქტიურად მძლეოსანთა საერთო მზადების სერიოზულ ეტაპს წარმოადგენს. საქმე ისაა, რომ დახურულ შენობებში ახლა მძლეოსნები აჩვენებენ მაღალ შედეგებს, რომლებიც ბევრ შემთხვევაში არ ჩამოუვარდება ღია მოედნებზე მიღწეულს და ზოგიერთი უკეთესიცაა, ვიდრე იმავე მიუნჰენში 1972 წელს ჩატარებული ოლიმპიური თამაშების საუკეთესო შედეგები. მაგალითად, ბელგიელმა ე. პუტემანსმა დახურულ შენობაში ახლახან 5 კმ გაირბინა 13 წუთსა და 20,8 წამში, წინა ოლიმპიადაში კი ფინელმა ლ. ვირენმა ოქროს მედალი მოიგო 13 წუთსა და 26,4 წამში. ვ. ნორდვიგმა (გდრ) ოლიმპიური რეკორდი დაამყარა ჭოკით ხტომაში და აჩვენა 5 მეტრი და 50 სანტიმეტრი, ხოლო პოლონელმა ვ. კოზაკევიჩმა ამას წინათ დახურულ მანეჟში 557 სმ გადალახა (მსოფლიო მიღწევა). დასავლეთგერმანელმა უ. მაიფარტმა ოლიმპიური ოქროს მედალი სიმაღლეზე ხტომაში მოიპოვა სარეკორდო შედეგით — 192 სმ, მსოფლიო რეკორდი ქალთა შორის დარბაზში კი ეკუთვნის რ. აკერმანს (გდრ), რომლის შედეგია 194 სმ. ანალოგიური მაგალითების მოყვანა კიდევ შეიძლებოდა.

საბჭოთა მძლეოსნები ნაყოფიერად ემზადებოდნენ ამ შეჯიბრებისთვის. ნაჩვენებია რამდენიმე უმაღლესი კლასის შედეგი. თბილისელმა მძლეოსანმა, ოლიმპიური თამაშების ორგზის ჩემპიონმა სამხტომში ვ. სანეევმა ამას წინათ მსოფლიო რეკორდი დაამყარა დახურული შენობებისთვის — 17,16 მ. ლენინგრადელმა სტუდენტმა ქალმა ი. ბონდარჩუკმა 3 კილომეტრზე რბენა ასევე მსოფლიო მიღწევით აღნიშნა — 9.09,2.

საუკეთესო ფორმაში არიან სპრინტერი ვ. ბორზოვი, ჭოკით მხტომელები ი. ისაკოვი და ი. პროხორენკო, სიგრძეზე მხტომელი ვ. პოდლუჟნი და სხვანი.

სპორტის მოყვარულები მიუნჰენიდან ევროპის ჩემპიონატის რეპორტაჟს ნახავენ ტელევიზიით 22 თებერვალს, 18 საათიდან თბილისის დროით.

ფეხბურთი
ფეხბურთი
ფეხბურთი
ფეხბურთი

ორი „ტორპედოს“ მატჩი

შავი ზღვის სანაპიროზე წინასასეზონო საწვრთნელ შეკრებაზე მყოფი ოსტატ ფეხბურთელთა გუნდები საკონტროლო მატჩების ჩატარებას შეუდგნენ. გასულ კვირას ადლერში დიდი ინტერესი გამოიწვია მოსკოვისა და ქუთაისის ტორპედოელთა შეხვედრამ.

თამაში დაიწყო სწრაფი ტემპით. მე-14 წუთზე ქუთაისელთა დაცვაში დაშვებული შეცდომით ისარგებლა ხრაბროსტინმა და ანგარიში გახსნა. წუთის შემდეგ გაბიჩვაძემ გაქვითა გოლი, ტაიმის დასასრულს კი ხერხაძემ დააწინაურა ქუთაისელები — 2:1.

შესვენების შემდეგ კვერნაძემ მესამედ აიღო მოსკოველთა კარი, ხოლო მატჩის დასასრულს იურინმა მეორედ მოათავსა ბურთი ქუთაისელთა კარში.

ანგარიშით 3:2 გაიმარჯვა ქუთაისის „ტორპედომ“.

მეტოქეებმა ასეთი შემადგენლობებით ჩაატარეს მატჩი: მოსკოვი — ელიზაროვი, კრუგლოვი, პახომოვი, ა. ბუტურლაკინი, ხუდიევი, ვ. ბუტურლაკინი, ფილატოვი, ხრაბროსტინი, იურინი, სუჩილინი, დეგტიარიოვი; ქუთაისი — გაბელია, შელია, ხურცილავა, სულაქველიძე, ჭოხონელიძე, ქვირია, ჩახუნაშვილი, კვერნაძე, ფესტვენიძე, ხერხაძე, გაბიჩვაძე.

დ. თორაძე.
(ჩვენი სპეც. კორ.).

ადლერი.

ახალი ამბები

ტუნისი, 20 თებერვალი. იუგოსლავიის ფეხბურთელთა ნაკრებმა, რომელიც ევროპის ჩემპიონატის მეოთხედფინალური მატჩებისთვის ემზადება, აქ ამხანაგური მატჩი წააგო ტუნისის ეროვნულ გუნდთან — 1:2. სამივე ბურთი შესვენებამდე გავიდა.

ბელგრადი, 20 თებერვალი. იუგოსლავიაში სტუმრად მყოფმა მოსკოვის „ლოკომოტივმა“ სარაევოში ანგარიშით 4:2 დაამარცხა ადგილობრივი „ჟელეზნიჩარი“. გამარჯვებულთაგან ბურთები გაიტანეს გაზაევმა (2), ვასინმა და სმირნოვმა.

სოფია, 20 თებერვალი. აქ დიდი ინტერესი გამოიწვია ადგილობრივი „ლევსკი-სპარტაკის“ შეხვედრამ მოსკოვის „დინამოსთან“. პირველი ტაიმი ბულგარელმა ფეხბურთელებმა მოიგეს — 1:0. შესვენების შემდეგ მოსკოველებმა თანაფარდობა აღადგინეს და ეს ამხანაგური თამაში ფრედ დამთავრდა — 1:1.

ციურიხი, 20 თებერვალი. ფიფა-მ დაასახელა 14 არბიტრი (24-დან), რომლებიც 1976 წლის ოლიმპიური ტურნირის მატჩებს იმსაჯებენ. ექვსი მათგანი წარმომადგენელია იმ ქვეყნებისა, რომლებმაც უკვე მოიპოვეს ადგილი ტურნირში. ამ არბიტრთა შორისაა მოსკოველი ვ. რუდნევი.

დანარჩენ ათ „საფეხბურთო თემიდის მსახურს“ ფიფა მოგვიანებით დაასახელებს, მაშინ, როცა ყველა ფინალისტი გამოვლინდება.

ყინულის მოედნებზე

ჰოკეისტთა საკავშირო ჩემპიონატში გასულ საშაბათს გამართული მატჩები ასე დამთავრდა: „დინამო“ (რიგა) — „ხიმიკი“ (ვოსკრესენსკი) 1:1 (0:0, 0:1, 1:0), ასკ (ლენინგრადი) — „სიბირი“ (ნოვოსიბირსკი) 2:3 (0:1, 1:1, 1:1), „ტორპედო“ (გორკი) — „ტრაქტორი“ (ჩელიაბინსკი) 2:4 (0:1, 1:1, 1:2).

მეთოდური წერილი

მეკარის წვრთნა

ყოველი გუნდის წარმატებები ფეხბურთში დიდადაა დამოკიდებული მეკარის თამაშის დონეზე. მეკარეს მოქმედება უხდება რთულ, ცვალებად პირობებში, რაც მოითხოვს მაღალ ფიზიკურ, ტექნიკურ და ტაქტიკურ მომზადებას, სისწრაფეს, სიზუსტეს, სწრაფ რეაქციას... აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, მისი წვრთნის მეთოდიკას და ორგანიზაციას სპეციალური თავისებურებები აქვს.

მიუხედავად იმისა, რომ მეკარის როლი ასე მნიშვნელოვანი და რთულია, წარმოებულმა დაკვირვებებმა ცხადყო, რომ მის წვრთნას სათანადო ყურადღება არ ეთმობა და ვარჯიშის პროცესში მეკარეები ხშირად ასრულებენ ერთგვარი „დამხმარე“ ფეხბურთელის როლს, რაც აფერხებს მათი ოსტატობის ზრდას. ჩვეულებრივ, მოთელვის შემდეგ მოთამაშეები იყოფიან ჯგუფებად, მეკარეები კი მწვრთნელთან ერთად მიემართებიან კარისკენ, სადაც ტრაფარეტულად სრულდება დარტყმები. აქ მეკარეები ცვლიან ერთმანეთს და, როცა მწვრთნელი დაიღლება ან მინდვრის მოთამაშეებისკენ გადაინაცვლებს, ისინი განაგრძობენ ამ ერთფეროვან, უინტერესო ვარჯიშს, შემდეგ, უკვე მეცადინეობის დასასრულს, მწვრთნელი გამოყოფს ძლიერი დარტყმის მქონე ფეხბურთელებს, რომლებიც უკვე გადაღლილი არიან და ამიტომ მათი წვრთნა მეკარეებთან აღარაა ისე სასარგებლო, როგორც უნდა იყოს.

ამგვარი პრაქტიკა საფუძვლიანად უნდა გარდაიქმნას. არ შეიძლება იმედის დამყარება მარტო მეკარის ტალანტზე და, თუ მისი ნიჭი ყოველდღიურ, მრავალმხრივ შემოქმედებითს სრულყოფას არ განიცდის, იგი თანდათან ქრება, პერსპექტიული სპორტსმენები რიგით მოთამაშეებად რჩებიან.

მეკარის მზადება უნდა განვიხილოთ, როგორც ოსტატთა გუნდის საწვრთნელი პროცესის განსაკუთრებული დარგი. მას უნდა დაეთმოს საგანგებო დრო, გამოიყოს ცალკე დღეები, სადაც წვრთნას ექნება სპეციალური, მიზანდასახული ხასიათი. არის სპეციალური ვარჯიშები მეკარეებისთვის, რომლებიც მათ უნდა გაიარონ დამოუკიდებლადაც და სხვა მოთამაშეებთან ერთადაც.

მეკარის ვარჯიში მოსამზადებელ პერიოდში

ეს პერიოდი იყოფა ორ ეტაპად: I ეტაპი — წვრთნა მინდორზე გასვლამდე, II — წვრთნა და ვარჯიში საგაზაფხულო სასწავლო-საწვრთნელ შეკრებაზე.

I ეტაპი. სამწუხაროდ, ძალიან მცირე გამონაკლისის გარდა, გუნდებს არა აქვთ შესაძლებლობა ავარჯიშონ მეკარეები დიდი ფართობისა და მოცულობის სპორტულ მანეჟებში და კალათბურთის, ფრენბურთისა და ტანვარჯიშისთვის გახკუთვნილ დარბაზებში, მეცადინეობა წარმართონ ისე, როგორც ეს ფეხბურთისთვისაა საჭირო. ამ შეზღუდულ ფართობზე კარში ურტყამენ ახლოდან, მეკარე ხედავს მხოლოდ დარტყმის ბოლო მომენტს და ძლივს ასწრებს ბურთის მოგერიებას. გამოცდილებით ვიცით, რომ ასეთ პირობებში, როცა მეკარე არაა დაზღვეული ტრავმებისგან, მას შიშის გრძნობაც უჩნდება, ამიტომ წვრთნაც არასრულფასოვანია. ცხადია, დგება საკითხი, თუ როგორ უნდა მოვიქცეთ, რომ მეკარის მზადება ამ ეტაპზე ნაყოფიერი და ხარისხიანი გახდეს.

მეთოდური რეკომენდაციები გვიკარნახებს, რომ მეკარის თამაშის, მისი ტექნიკისა და ტაქტიკის სრულყოფისთვის საჭიროა გულმოდგინე მუშაობა მრავალმხრივი ფიზიკური მომზადებისთვის, მისი სწორი შეხამება საერთო და სპეციალურ მზადებასთან, რაც კარგად უნდა იყოს ჩაფიქრებული და დაგეგმილი. წვრთნის I ეტაპზე მეკარეს სჭირდება დიდი მოცულობის საერთო და სპეციალური ფიზიკური მზადება. საჭიროა კროსები, ტანვარჯიშული და აკრობატული ვარჯიშები, სიმძიმეების აწევა, სპორტულ თამაშებში მონაწილეობა, თუ არის საამისო შესაძლებლობა — თხილამურებით რბენაც და ა. შ. როცა გუნდს საწვრთნელ მეცადინეობაზე დაგეგმილი აქვს ვარჯიში ტექნიკის ასამაღლებლად, მეკარეებმა საწვრთნელი დროის პირველი ნახევარი უნდა მოახმარონ ფიზიკური განვითარებისთვის საჭირო სპეციალურ ვარჯიშებს — ძალისა და მხტომელობის გამომუშავებას, რეაქციის სისწრაფეს, შემდეგ კი სრულყონ ბურთის დაჭერის, მოგერიებისა და ტყორცნის ტექნიკა სხვადასხვა საშუალებით.

წვრთნის უკეთესი ორგანიზაციისა და მაღალი ეფექტიანობის მისაღწევად მეკარეებთან მეცადინეობა უნდა დავალოს ერთ-ერთ მწვრთნელს, რომელსაც ექნება ზუსტად დაგეგმილი კონსპექტი იმ დღისთვის დასახული სპეციალური მიზნების მისაღწევად. ყოველი თვის ბოლოს მწვრთნელებმა უნდა ჩაიბარონ საკონტროლო ნორმატივები მეკარეებისგან (ხტომის სიმაღლე და სიგრძე, ტყორცნის ძალა, სიზუსტე და სხვ.), რათა ნათელი წარმოდგენა ჰქონდეთ წვრთნის შედეგებზე. ამ პერიოდში მეკარემ აუცილებლად უნდა ითამაშოს კალათბურთი ან ხელბურთი. ეს თამაშები მეკარეს აახლოებს თავის სპეციფიკასთან, სრულყოფს ბურთის დაჭერის ტექნიკას, სხვადასხვა სახის ტყორცნის სიძლიერეს და სიზუსტეს, ხტომას მაღალი ბურთისთვის ბრძოლაში, ორიენტირებას და მოსაზრებულობას, ადგილის შერჩევას, რეაქციის სისწრაფეს და ა. შ.

გუნდის ორჯერადი წვრთნის დღეებში მეკარე უნდა გათავისუფლდეს მეორე მეცადინეობისგან, რათა ითამაშოს კალათბურთი ან ხელბურთი.

II ეტაპი. სანამ მეთოდიკაზე გადავიდოდეთ, საჭიროა შევჩერდეთ მეკარის წვრთნის ორგანიზაციის საკითხზე საგაზაფხულო შეკრების პირობებში. მეკარეთა უკეთესი მომზადების მიზნით მათთვის საჭიროა სპეციალური დროის გამოყოფა. მინდვრის მოთამაშეთაგან იზოლირებით მეკარეთა წვრთნისთვის საგაზაფხულო შეკრებებზე ყოველთვის არის დრო. წვრთნის კვირეულ ციკლში საჭიროა მეკარეთა განცალკევებული 2-3 კომპლექსური ვარჯიში და ისინი უნდა ჩატარდეს მოთამაშეთა ტექნიკური მზადების ან კროსის დღეებში. ასეთი ორსაათიანი ვარჯიშისთვის მეკარეებს სჭირდებათ 2-3 მინდვრის მოთამაშე, რომლებიც იმ დღეებში რაიმე მიზეზით თავისუფალი იქნებიან დიდი დატვირთვისგან.

არის შემთხვევები, როცა სხვადასხვა მიზეზით ძნელია მეკარის წვრთნის ორგანიზება მინდვრის მოთამაშეთაგან განცალკევებით და მაშინ ასეთ ხერხს უნდა მივმართოთ: მეკარეები ვარჯიშს მინდვრის მოთამაშეებზე 1 საათით ადრე იწყებენ. 20-წუთიანი ინტენსიური მოთელვის შემდეგ ისინი სპეციალურ ვარჯიშებს ასრულებენ ძალის, სისწრაფის, მხტომელობის, მოქნილობის, რეაქციის სისწრაფისა და ტექნიკის სრულყოფისთვის. შემდეგ კი, როცა გამოვლენ მინდვრის მოთამაშეები და იწყებენ მოთელვას, მეკარეები განაგრძობენ ვარჯიშს ბურთის დაჭერაში, მოგერიებაში, ტყორცნაში და სხვ. როცა მინდვრის მოთამაშეები დაამთავრებენ მოთელვას (მეკარეებს ამ დროისთვის 1 საათი და 20 წუთი აქვთ ნავარჯიშევი), მწვრთნელი გამოყოფს 3-4 ფეხბურთელისგან შემდგარ ორ ჯგუფს კარში დარტყმისთვის.

მინდვრის მოთამაშეებს მწვრთნელებმა კონკრეტული ამოცანა უნდა დაუსახონ, რათა კარში დარტყმის სიზუსტისა და ძალის გარდა ეს ვარჯიში მეკარის მზადებასაც ემსახურებოდეს. ჯერ ურტყამენ 16-18 მეტრის მანძილიდან, ნახევარი ძალით, მაგრამ აუცილებლად ზუსტად. 3-4 წუთის შემდეგ დარტყმის ძალა და ტემპი მატულობს, იცვლება დარტყმის დისტანცია, მოთამაშეები სხვადასხვა მდგომარეობიდან ურტყამენ.

მეკარეთა მონაცვლეობას კარში და დარტყმის ტემპს არეგულირებს მწვრთნელი. თუ მეკარე ხალისითა და მონდომებით მუშაობს, ცვლა რამდენადმე უნდა დავაყოვნოთ. დგება მომენტი, როცა მეკარე იღლება, არჩევს მოსახერხებლად ასაღებ ბურთებს; ძნელებს კი კარში უშვებს. აი, აქ საჭიროა მისი სწრაფად შეცვლა მეორე მეკარით და, თუ ეს უკანასკნელი არ არის, მწვრთნელმა უნდა დაასვენოს დაღლილი მეკარე, მისცეს მას პაუზა, რომლის დროსაც იგი მხოლოდ აწვდის ბურთებს მინდვრის მოთამაშეებს. პაუზისა და შესვენების შემდეგ მეკარე კვლავ იწყებს ინტენსიურ მუშაობას.

კარში 40-45 წუთს მეცადინეობის შემდეგ მეკარეები ამთავრებენ წვრთნას მოდუნებითი ვარჯიშით, ხოლო მათი მომსახურე მინდვრის ფეხბურთელები საერთო ჯგუფს უერთდებიან.

კვირეული საწვრთნელი ციკლის სხვა დღეებში მეკარეები მეცადინეობენ მინდვრის მოთამაშეებთან ერთად, მაგრამ აუცილებლად უნდა შეასრულონ სპეციფიკური ვარჯიშები ფიზიკური და ტექნიკური თვისებების სრულყოფისთვის.

ცალკეულ შემთხვევებში რეკომენდებულია მეკარის ვარჯიში კარში დაიწყოს უშუალოდ მოთელვის შემდეგ.

მეკარე მზად უნდა იყოს პირველივე წუთიდან ჩაერთოს თამაშში. ის დრო, რომელიც მინდვრის მოთამაშეებს აქვთ ხოლმე თამაშში ჩასაბმელად, მეკარეებს არ გააჩნიათ, ამიტომ მათი ცალკეული მეცადინეობები უნდა ჩატარდეს ვარჯიშების შემდეგი თანამიმდევრობით:

მეკარის მოთელვის დამთავრებისთანავე იწყება კარში ძლიერი, დამიზნებული დარტყმები დაახლოებით 3-4 წუთის მანძილზე. ინტენსიური „დაბომბვის“ შემდეგ დარტყმების ტემპი უნდა შემცირდეს და წვრთნა გაგრძელდეს ბურთის დაჭერის ტექნიკის ათვისებისთვის. 5-8 წუთის შემდეგ კვლავ უნდა შესრულდეს დარტყმების სერია მაღალი ტემპით, 20-30 წუთით. ასეთი ვარჯიშის შემდეგ მეკარის წვრთნა უნდა გაგრძელდეს უფრო ნელი ტემპით საერთო ოსტატობის სრულყოფისთვის.

მეკარის წვრთნა საშეჯიბრებო პერიოდში

გუნდის საწვრთნელ სამუშაო გეგმაში საერთო მეცადინეობათა გარდა აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული დღეები მეკარეთა სპეციალური წვრთნისთვის, რომელთა რაოდენობა დამოკიდებულია ამა თუ იმ სათამაშო ციკლზე. მაგალითად, 4-დღიან სათამაშო ციკლში საჭიროა 1 სპეციალური წვრთნა და 1 — დამატებითი, 5-6-დღიან ციკლში კი — შესაბამისად 2-2 წვრთნა.

აქ მეკარის წვრთნის მიზანი და ამოცანებია სპორტული ოსტატობის შემდგომი სრულყოფა და მორიგი კალენდარული მატჩისთვის მზადება. საერთო გუნდური მეცადინეობის დღეებში (ორმხრივი თამაშები, სათამაშო ვარჯიშები) მეკარეები უმთავრესად ტექნიკასა და ტაქტიკას სრულყოფენ, ღებულობენ არასაკმარის დატვირთვას. ამიტომ ასეთი მეცადინეობის შემდეგ საჭიროა მეკარის დამატებითი, 30-წუთიანი წვრთნა კარში, რასაც სარგებლობა მოაქვს მისთვისაც და იმ მოთამაშეებისთვისაც, რომლებიც კარში ურტყამენ.

ყოველი მეცადინეობის დროს მეკარემ უნდა იზრუნოს თავისი ფიზიკური მომზადების გაუმჯობესებისთვის. მას სჭირდება იმ ხასიათის ვარჯიშები, რომლებიც ამ მიზანს ემსახურება. მწვრთნელი სტიმულირების მიზნით სისტემატურად უნდა ატარებდეს გამოცდებს საკონტროლო ნორმატივებში, რომლებიც სპეციალურადაა დადგენილი კონკრეტულად ამა თუ იმ მეკარისთვის (დარტყმის ძალა და სიზუსტე, ნახტომის სიმაღლე და სიგრძე, სისწრაფე, ბურთის ტყორცნის სიშორე და ა. შ.).

თუ, მაგალითად, გუნდს მატჩი აქვს კვირას, პარასკევს მწვრთნელმა მეკარე უნდა ავარჯიშოს კარში დიდი დატვირთვით, მოსთხოვოს მას აიღოს ყველა ბურთი და არა მარტო ისინი, რომლებიც მისთვისაა მოხერხებული. წვრთნა უნდა დამთავრდეს მეკარის მიერ ძნელი ბურთისთვის კარგად შესრულებული ნახტომით, თუმცა იგი სრულ დაქანცულობამდე არ უნდა მივიდეს.

თუ მეკარე მსუბუქად დაშავდა (ნატკენი ფეხი, სხვადასხვა სახის დაჭიმულობა და სხვ.), მისი ვარჯიში უნდა გაგრძელდეს ექიმთან შეთანხმებით. ასეთ შემთხვევებში უნდა შეირჩეს სპეციალური ვარჯიშები, რომლებიც მეკარის ფორმის შენარჩუნებასაც უზრუნველყოფენ და ტრავმის სწრაფად მორჩენასაც.

მეკარეებს ხშირად უშავდებათ ხელის თითები, მაგრამ ექიმის ჩარევა არაა საჭირო. ასეთ შემთხვევებში მეკარე არ უნდა გათავისუფლდეს წვრთნისგან. ფეხბურთელმა თითის მთელს სიგრძეზე უნდა დაიდოს ბამბის ფენა, ზემოდან დაადოს ფირფიცრის თხელი ნაჭერი და მჭიდროდ შეიხვიოს იგი. ეს მას საშუალებას მისცემს დაშავებული თითითაც განაგრძოს ბურთის დაჭერა.

რა თქმა უნდა, საგაზეთო წერილში შეუძლებელია ყველაფერი ითქვას მეკარის სპეციფიკური წვრთნის შესახებ. სულ ახლახან საქართველოს პირველობის მონაწილე გუნდების მწვრთნელებს დაურიგდათ სპეციალურად შემუშავებული სარეკომენდაციო ვარჯიშები მეკარეებისთვის. თითოეულმა მწვრთნელმა მაქსიმალურად უნდა გამოიყენოს ეს ვარჯიშები და მეტი გულმოდგინებით, მეტი გულისყურით იმუშაოს მეკარეებთან. საქართველო მუდამ განთქმული იყო პირველხარისხოვანი მეკარეებით, ექსტრა-კლასის ოსტატებით, ახლა კი ამ მხრივ გარკვეულ კრიზისს განვიცდით. როგორც ბავშვებთან, ისე უფროსებთან მომუშავე მწვრთნელთა უპირველესი მოვალეობაა საგანგებოდ იზრუნონ მაღალი კლასის მეკარეთა აღზრდისა და დაოსტატებისთვის.

ს. შუდრა,
სპორტის დამსახურებული ოსტატი, თბილისის ფეხბურთის ფედერაციის მწვრთნელთა მეთოდური საბჭოს თავმჯდომარე.

სსრ კავშირის პირველობა

ფინიში და...

სვერდლოვსკი, 18 თებერვალი. აქ დამთავრდა უმაღლესი ლიგის კალათბურთელ ვაჟთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მეორე წრის პირველი ნახევარი.

წარუმატებლად ჩაატარა ტურნირი ესტონეთის საუკეთესო კლუბმა — ტარტუს „კალევმა". პირველი წრის შემდეგ მას 3 ქულა ჰქონდა (11 თამაშიდან). მეორე წრის ოთხი პირველი შეხვედრა ესტონელებმა წააგეს („სტროიტელთან", ცსკა-სთან, თბილისის „დინამოსთან" და რიგის არმიელებთან). „კალევი" მეტად საშიშ ზონაში აღმოჩნდა და, თუ ბოლო მატჩსაც წააგებდა ადგილობრივ „ურალმაშთან", ტურის შედეგების მიხედვით ბოლო ადგილს დაიკავებდა.

ამ გარემოებამ ესტონელი კალათბურთელები საბრძოლველად დარაზმა. უკან დასახევი გზა აღარ იყო და გუნდმაც ყველაფერი იღონა საიმისოდ, რომ ოდნავ მაინც გამოესწორებინა მდგომარეობა და თავისი რეპუტაცია ეხსნა.

„კალევმა" საწადელს მიაღწია და გაიმარჯვა — 90:77 (48:40).

„სტროიტელს" ბოლო მატჩი რიგის არმიელებთან ჰქონდა. პირველი ტაიმი, რომელიც უკრაინელებმა მოიგეს 3 ქულით (40:37), მეტად მძაფრი და დაძაბული გამოდგა. არმიელებს ძალა ეყოთ მეორე ნახევარში საბრძოლველადაც. მართალია, „სტროიტელმა" საბოლოო ჯამში გაიმარჯვა (84:77), მაგრამ ეს ქულა დიდი გაჭირვების ფასად მოიპოვა.

უჩვეულო შედეგით აღინიშნა თბილისის „დინამოს" და ცსკა-ს შეხვედრა. გაიმარჯვეს არმიელებმა — 125:92 (61:45).

ახლა სვერდლოვსკის ჯგუფის მონაწილენი დაელოდებიან ლენინგრადელთა შეხვედრების შედეგებს, რის შემდეგაც შეჯამდება მეორე წრის პირველი ნახევრის მაჩვენებლები. მერე კი ჩასატარებელი დარჩება კიდევ ერთი, საბოლოო ტური, რომელიც გამოავლენს სსრ კავშირის 1976 წლის ჩემპიონს. ეს მოხდება 22-28 მარტს ტალინში.

გათამაშების ცხრილი

	თ.	მ.	წ.	ბ.	ქ.
ცსკა	16	15	1	1651—1211	15
„სტრ."	16	11	5	1337—1232	11
„დ." თბ.	16	9	7	1259—1319	9
ასკ	16	4	12	1180—1288	4
„კალ."	16	4	12	1215—1341	4
„ურალ."	16	2	14	1193—1457	2

...სტარტი

ლენინგრადი, 20 თებერვალი. დღეს აქ სტარტი აიღო უმაღლესი ლიგის კალათბურთელ ვაჟთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მეორე წრემ. ლენინგრადის ჯგუფში ადგილობრივი „სპარტაკის" გარდა ასპარეზობენ კაუნასის „ჟალგირისი", მოსკოვის „დინამო", ვილნიუსის „სტატიბა", მინსკის რტი და ერევნის ფიზკულტურის ინსტიტუტის სპორტკლუბის გუნდი.

როგორც მოსალოდნელი იყო, ფავორიტებმა სატურნირო ცხრილში თითო ქულა ჩაიწერეს. „ჟალგირისმა" დაამარცხა რტი — 89:69 (42:29). უმაღლესი ლიგის დებიუტანტმა, ერევნის ფისკ-მა მარცხი იწვნია მასპინძლებთან — 60:99 (30:57).

ყველაზე დაძაბული გამოდგა მოსკოვის „დინამოს" და ვილნიუსის „სტატიბას" შეხვედრა. პირველი 20 წუთი ლიტველმა კალათბურთელებმა მოიგეს — 41:33. „დინამოს" მთელი ძალების მოკრება დასჭირდა მეორე ნახევარში, რათა ხელთ ეგდო უპირატესობა და ბრძოლა მისთვის სასურველი ტაქტიკით წარემართა. საბოლოოდ მან მიაღწია მიზანს და გაიმარჯვა — 75:68.

გათამაშების ცხრილი

	თ.	მ.	წ.	ბ.	ქ.
„ჟალგ."	12	10	2	1023—928	10
„სპარტ."	12	9	3	977—818	9
„დ". მ.	18	8	4	972—905	8
„სტატ."	12	7	5	968—961	7
რტი	12	4	8	932—1023	4
ფისკ	12	1	11	878—1104	1

გთავაზობთ დარჩენილ შეხვედრათა კალენდარს:

21. „დინამო" — ფისკ, „ჟალგირისი" — „სპარტაკი", რტი — „სტატიბა".

22. ფისკ — რტი, „სტატიბა" — „ჟალგირისი", „სპარტაკი" — „დინამო".

23 თებერვალი დასვენების დღეა.

24. „ჟალგირისი" — ფისკ, რტი — „დინამო", „სტატიბა" — „სპარტაკი".

25. ფისკ — „სტატიბა", „სპარტაკი" — რტი, „დინამო" — „ჟალგირისი".

კალათბურთი კოლექტიური თამაშია

თბილისის „ბურევესტნიკის" კალათბურთელ ვაჟთა კოლექტივმა, რომელიც I ჯგუფის საკავშირო პირველობაში ასპარეზობს, კიდევ ოთხი მატჩი ჩაატარა შინ. ამ ოთხ შეხვედრაში გუნდმა მხოლოდ ქულა აიღო. ეს, რა თქმა უნდა, ერთობ დაბალი შედეგია, თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ გუნდს ჩასატარებელი დარჩა მატჩები მხოლოდ სტუმრად — კრასნოდარში, ხარკოვში, ნიკოლაევსა და კიშინიოვში.

მაგრამ თბილისის გუნდის ამ წარუმატებლობას აქვს ერთგვარი, ვიმეორებთ, მხოლოდ ერთგვარი და არა მთლიანი გამართლება. საქმე ისაა, რომ 14 და 15 თებერვალს ტოლიატის „აზოტთან" თამაში მას შესუსტებული შემადგენლობით მოუხდა: ავადმყოფობის გამო მოედანზე ვერ გამოვიდა ერთბაშად ექვსი (!) კალათბურთელი (როზინსკი, ფიცხელაური, გელაშვილი, ბახტურიძე, ლურსმანაშვილი, ბერელიძე). ახალგაზრდული კოლექტივისთვის, რომელიც ახლა ყალიბდება და იღებს თავის სახეს, ეს მძიმე დანაკლისი იყო და მანაც ორივე შეხვედრა წააგო — 71:86 და 83:94.

სულ სხვა საქმეა, როცა ვამბობთ, რომ ბურევესტნიკელებს ამ მატჩებშიც შეეძლოთ თუნდაც ქულის აღება. აქ ძირითადად ხაზი უნდა გავუსვათ გუნდის ზოგიერთი წევრის უკმარ ოსტატობას, არასწორ თამაშს და ა. შ.

ორი სხვა შეხვედრა თბილისელებმა დონეცკის თანაკლუბელებთან ჩაატარეს 18 და 19 თებერვალს. მასპინძლებმა შეძლეს მხოლოდ ქულის აღება — 18 თებერვლის მატჩში.

დონეცკის „ბურევესტნიკი" არც ისეთი ძლიერი მეტოქეა, როგორიც, ვთქვათ, ნიკოლაევის, კრასნოდარის ან კიშინიოვის კოლექტივები. ამიტომაც ჩვენი კალათბურთელებისგან სამართლიანად მოველოდით მაქსიმუმს. პირველ შეხვედრაში თბილისელებმა გაიმარჯვეს კიდეც — 88:82 (36:38), თუმცა მათს თამაშს მიზანდასახულობა აკლდა.

სამაგიეროდ, განმეორებითს მატჩში დონეცკელმა კალათბურთელებმა მასპინძლებს საკალათბურთო ოსტატობის ყველა პუნქტში აჯობეს — 103:79 (49:54).

კალათბურთი კოლექტიური სპორტია, სადაც ყოველი მოთამაშის მოქმედება დაქვემდებარებული უნდა იყოს გუნდის ინტერესებისადმი. ხშირად ერთი რომელიმე წევრის ეფექტურ, შედეგიან თამაშს საბოლოო ჯამში არაფერი მოაქვს გუნდისთვის, თუ იგი კოლექტივიდანაა ამოვარდნილი და არ გამოხატავს მის ინტერესებს.

დონეცკის „ბურევესტნიკთან" მეორე შეხვედრაში მასპინძლებს არაფერი ჰქონდათ წასაგები, იმის მიუხედავად, რომ მათი ცენტრალური თავდამსხმელი (როზინსკი) და მთავარი გამთამაშებელი (ფიცხელაური) ავად იყვნენ. თამაში მიმდინარეობდა დაძაბულად, ქულა ქულაში...

მაგრამ დადგა კრიტიკული მომენტი და გამოირკვა, რომ თბილისელები ცალ-ცალკე, პარტიზანულად მიიწევდნენ გამარჯვებისკენ. დაიკარგა სიზუსტე გადაცემებში, დაიკარგა სიზუსტე სროლაში, ორივე ფარს მტკიცედ დაეუფლნენ დონეცკელები და ბრძოლის ბედიც გადაწყდა.

ეს ყველაფერი შესვენების შემდეგ მოხდა. პირველი ტაიმის ხუთქულიანი უპირატესობა თვალსა და ხელს შუა გაქრა. უფრო მეტიც, 30-ე წუთის შემდეგ სტუმრებმა 24 ქულა (!) ზედიზედ მოიგეს.

ნ. ახვლედიანი.

* * *

სურათზე: თბილისისა და დონეცკის გუნდების გუშინწინდელი მატჩის მომენტი.

მ. ზარგარიანის ფოტო.



კვლავ სვეშნიკოვი

ლენინგრადში დამთავრდა ახალგაზრდა ოსტატთა საკავშირო ჩემპიონატი, რომელშიც 16 კაცი მონაწილეობდა.

ჩემპიონის სახელი მოიპოვა საერთაშორისო ოსტატმა ე. სვეშნიკოვმა (ჩელიაბინსკი) — 11 ქულა. იგი სამი წლის წინათაც იყო ქვეყნის ჩემპიონი.

II ადგილზეა ოსტატი ს. პალატნიკი (ოდესა) — 10,5, III — ოსტატი ლ. გოფშტეინი (კიევი) — 10. ჭაბუკთა შორის ევროპის ჩემპიონი, ოსტატი ა. კოჩიევი (ლენინგრადი) 9 ქულით IV ადგილზე გავიდა, ჭაბუკთა შორის მსოფლიო ჩემპიონმა, საერთაშორისო ოსტატმა ვ. ჩეხოვმა (ლენინგრადი) კი ლვოველ ოსტატ ა. მიხალჩიშინთან 8,5-8,5 ქულით V-VI ადგილი გაიყო.

შეჯიბრებაში თბილისელი ოსტატი გ. ზაიჩიკიც მონაწილეობდა. მან 4 ქულით XV ადგილი დაიკავა.

ფინალი დაიწყო

საქართველოს ჭაბუკთა პირველობის ფინალის მონაწილენი წილისყრით სატურნირო ცხრილში ასე განლაგდნენ: 1. გ. გრძელიშვილი (თბილისი), 2. პ. მაღლაკელიძე, 3. გ. გიორგაძე (ორივე — ქუთაისი), 4 ზ. აზმაიფარაშვილი, 5. გ. ნეგოდა, 6. ი. ეფიმოვი, 7. გ. ხაილენკო (ორივე — თბილისი), 8. გ. თორია (ზუგდიდი).

გუშინწინ თბილისში, ჭადრაკის სასახლეში ფინალისტებმა სტარტი აიღეს. I ტურში აზმაიფარაშვილმა სძლია ნეგოდას, ხაილენკომ — მაღლაკელიძეს, ეფიმოვმა — გიორგაძეს. გრძელიშვილი და თორია დაზავდნენ. II ტურში ხაილენკომ მოუგო გიორგაძეს, ხოლო გრძელიშვილ — მაღლაკელიძე; თორია — ნეგოდა და ეფიმოვ — აზმაიფარაშვილი ყაიმზე შეთანხმდნენ.

ეს ყმაწვილები ამას წინათ თბილისში დამთავრებული ჭაბუკ დინამოელ მოჭადრაკეთა საკავშირო პირველობის თბილისელი მონაწილენი არიან. ამ შეჯიბრებაში ჩემპიონის სახელი მოიპოვა ზ. აზმაიფარაშვილმა (მარჯვნივ), II ადგილზე გავიდა გ. ხაილენკო (მარცხნივ). 18 წლის ი. კუზმინმა (შუაში) შეჯიბრებაში ოსტატობის კანდიდატის ნორმატივი შეასრულა.

ნ. მღებროვის ფოტო.

ერთსულოვნად გადაწყვიტეს

ფიდე-ს საგანგებო კომისიამ, რომელშიც სსრ კავშირის, აშშ-ს, იუგოსლავიის, კუბისა და ფილიპინების საჭადრაკო ფედერაციების წარმომადგენლები შედიოდნენ, ამ დღეებში განიხილა და ერთსულოვნად მიიღო ვაჟთა შორის მსოფლიო ჩემპიონის სახელისთვის 1978 წლის მატჩის დებულება.

გადაწყდა, რომ მსოფლიო ჩემპიონ ა. კარპოვსა და პრეტენდენტთა შეჯიბრებებში გამოვლენილ მის მეტოქეს შორის მატჩში თამაში ექვს მოგებულ პარტიამდე გაგრძელდება. პარტიების რაოდენობა განუსაზღვრელია. ყაიმით დამთავრებული პარტიები მხედველობაში არ მიიღება.

თუ მატჩი დამთავრდა ანგარიშით 5:5, ჩემპიონი ჩემპიონად რჩება, ოღონდ პრეტენდენტს უფლება ეძლევა ერთი წლის შემდეგ კვლავ შეხვდეს მატჩში ჩემპიონს იმავე პირობებში.

კომისიის ეს გადაწყვეტილება ფიდე-ს უახლოესმა გენერალურმა ასამბლეამ უნდა დაამტკიცოს.

ტალი — ანდერსონი

შვეციის ჭადრაკის ფედერაციის თხოვნით დიდოსტატი მ. ტალი (სსრ კავშირი) სტოკჰოლმში ახალგაზრდა შვედ მოჭადრაკეს უ. ანდერსონს ამხანაგურ მატჩს ეთამაშება. პირველი ოთხი პარტია, მძაფრი ბრძოლის მიუხედავად, ყაიმით დამთავრდა. მეხუთე შეხვედრა ტალმა მოიგო. მეტოქეებმა კიდევ სამი პარტია უნდა ითამაშონ.

ეივეს დაბადების 75 წლისთავის აღსანიშნავად

ჰოლანდიის ჭადრაკის ფედერაცია ფიდე-ს პრეზიდენტის, პროფესორ მ. ეივეს დაბადების 75 წლისთავის აღსანიშნავად 13-22 მაისს ამსტერდამში ატარებს ოთხთა მატჩ-ტურნირს. ორგანიზატორებმა მსოფლიო ჩემპიონ ა. კარპოვს სთხოვეს მონაწილეობა მიიღოს ამ შეჯიბრებაში. ჩემპიონმა თანხმობა განაცხადა. მისი მეტოქენი იქნებიან დიდოსტატები ლ. ლიუბოევიჩი (იუგოსლავია), უ. ბრაუნი (აშშ) და ფ. ოლაფსონი (ისლანდია).

ფრენბურთის გადესთან

მოსკოვი, 19 თებერვალი. ფრენბურთელ ვაჟთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მორიგი ტურების შეხვედრები ასე დამთავრდა: ცსკა — „ლოკომოტივი" (ხარკოვი) 3:1, „დოროჟნიკი" (ალმა-ათა) — „ჩერნომორგიდროსტროი" (ოდესა) 3:0, „ავტომობილისტი" (ლენინგრადი) — „რადიოტექნიკი" (რიგა) 3:0, „ლოკომოტივი" (კიევი) — „ავტომობილისტი" (დნეპროპეტროვსკი) 3:2, „დინამო" (მოსკოვი) — „ზვეზდა" (ვოროშილოვგრადი) 2:3, უმაღლესი ტექნიკური სასწავლებელი (მოსკოვი) — ასკ (დონის როსტოვი) 3:2, „ავტომობილისტი" (დნეპროპეტროვსკი) — „ლოკომოტივი" (ხარკოვი) 0:3, ცსკა — უმაღლესი ტექნიკური სასწავლებელი 3:1, ასკ — „რადიოტექნიკი" 1:3, „ავტომობილისტი" (ლენინგრადი) — „ჩერნომორგიდროსტროი" 3:0, „დოროჟნიკი" — „დინამო" 3:1, „ზვეზდა" — „ლოკომოტივი" (კიევი) 0:3.

არმიელი მოჭადრაკის მიღწევა

მტკიცე ხასიათის ახალგაზრდა თუ რაიმეს გადაწყვეტს, აუცილებლად მიაღწევს მიზანს. სწორედ ეს ითქმის სიღნაღელ ივანე სიფრაშვილზე.

მოწაფეობის დროს ჭაბუკი ჭადრაკმა გაიტაცა, თუმცა არც ფეხბურთისადმი იყო გულგრილი. სიმწიფის ატესტატთან ერთად ივანემ ჭადრაკში პირველი თანრიგიც მიიღო. იგი თბილისს გამოეშურა და თამაშის სიბრძნის დაუფლება განაგრძო უმაღლესი სპორტული ოსტატობის № 3 რესპუბლიკურ სკოლაში. მონდომებულ ახალგაზრდას ნახავდით კ. მარქსის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკაშიც, სადაც ჭადრაკის სახელმძღვანელოებს კითხულობდა, დიდოსტატთა პარტიებს იწერდა.

ერთად საბჭოთა არმიაში გაიწვიეს. შორეულ იმიერბაიკალში რიგითი მებრძოლი პოლიტიკური და საბრძოლო მომზადების ფრიადოსანი გახდა. არც ჭადრაკი დაივიწყებია, განაგრძობდა მეცადინეობას, თამაშს. გულმოდგინებით აისრულა ოცნება: სამხედრო ოლქის პირველობაში ოსტატობის კანდიდატის ნორმატივი შეასრულა.

შარშან ივანემ მეორედ მოიპოვა თავისი ნაწილის ჩემპიონობა: თერთმეტივე მეტოქეს სძლია. ახლა იგი იმიერბაიკალის სამხედრო ოლქის პირველობაში თავისი კოლექტივის სპორტულ ღირსებას იცავს.

თ. კახელიშვილი.
(ჩვენი კორ.).

ი. სიფრაშვილი თანატოლებთან სიღნაღი.

იმარჯვეს კომპლექსურ ცურვაში

ანტიბი, 17 თებერვალი. საფრანგეთის ამ ქალაქის 25-მეტრიან აუზში გამართულმა მოცურავეთა საერთაშორისო შეჯიბრებამ დიდი ინტერესი გამოიწვია. საბჭოთა სპორტსმენმა ვაჟებმა ყველას აჯობეს კომპლექსურ ცურვაში: 200-მეტრიანი მანძილი ყველაზე სწრაფად დაფარა ლენინგრადელმა ა. სმირნოვმა (2.07,05), ხოლო მეორე იყო ასტრახანელი ს. ზახაროვი — 2.08,46.

100 მეტრზე ბრასით ქალთა შეჯიბრებაში გაიმარჯვა ნილსონმა (დანია) — 1.13,50. II ადგილზე გავიდა ჰოლანდიელი მაზერევი (1.13,53), ხოლო III — ოდესელი მ. იურჩენია — 1.13,87.

მსოფლიო ჩემპიონმა რ. კოტერმა (გდრ) მოიგო 200 მეტრზე ბატერფლაით ცურვა — 2.13,76. ლენინგრადელი თ. შელოფასტოვა IV ადგილზე გავიდა — 2.17,93.

400 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში ბადალი არ ჰყავდა ამერიკელ ბარტლეს — 3.57,08. მოსკოველი ვ. მიხეევი მეოთხე იყო (4.02,17), ხოლო ზაპოროჟიელი ვ. რასკატოვი — მეხუთე (4.03,32).

შეჯიბრებაში 16 ქვეყნის სპორტსმენები მონაწილეობდნენ.

მაიკლ ლუსი (ქვედა სურათზე) შვეიცარიელია. ამას წინათ ველორბოლის საერთაშორისო ფედერაციის წარმომადგენლებმა ედი მერქსთან ერთად მაიკლი დააჯილდოვეს სპეციალური პრიზით „ველორბოლის პოპულარიზაციისთვის“. საქმე ისაა, რომ შვეიცარიელმა, რომელიც 200 კგ-ზე მეტს იწონის, განაცხადა: აქტიური ველორბოლა გახდომის საუკეთესო საშუალებაა.

მ. ლუსი გაემგზავრა მექსიკაში, სადაც ოლიმპიურ ველოდრომზე ერთ საათს იარა. მაიკლის მწვრთნელს რონ კოლომბენს (ზედა სურათზე, სასტარტო პისტოლეტით) თავისი მოწაფისა არა სჯეროდა, ვერ წარმოედგინა, რომ ეს ნამდვილი ბლენძი გაუძლებდა ასეთ დატვირთვას. მაგრამ მოხდა სასწაული: ლუსმა რბოლის ზოგიერთ მონაკვეთზე საათში 22,7 კმ სიჩქარეც კი განავითარა, ხოლო, როცა სასწორზე დადგა, გაიოცა მრავალრიცხოვანი გულშემატკივრები — 12 კგ დაეკლო.

ეს ამბავი ელვის სისწრაფით მოედო ველოსპორტის სამყაროს, აჭრელდა გაზეთების ფურცლები და ამით ლუსმა ბევრი მიმდევარი შეიძინა, განსაკუთრებით ამერიკის შეერთებულ შტატებსა და მექსიკაში. მაგრამ ვინ იცის, ეს იქნებ მხოლოდ ველოსიპედით მოვაჭრე ფირმების მარჯვე სარეკლამო ხერხია? მათ ხომ დიდი მოგება აქვთ ამ რეკლამის წყალობით.

ფრე... 110 რაუნდის შემდეგ

პროფესიულ კრივს უამრავი „რეკორდი“ ეკუთვნის. მისი ერთი „მიღწევა“ უკვე საუკუნეა ვერავინ დაამხო: ყველაზე ხანგრძლივი ბრძოლა პროფესიონალ მოკრივეთა შორის — 110 რაუნდი 1893 წელს ჩატარდა.

იმ დღეს მაყურებლებმა 17 საათზე მეტი გაატარეს ტრიბუნებზე: ორმა მოკრივემ — ენდი ბოუენმა და ჯეკ ბერკმა მთელი ამ ხნის მანძილზე ვერ გაარკვიეს, მათ შორის რომელი უფრო ძლიერი და ამტანი იყო. შეხვედრა ფრედ დამთავრდა.

ისეთი ბრძოლებისგან განსხვავებით, როგორსაც მიჩვეული არიან კრივის მოყვარულები მთელს მსოფლიოში, პროფესიონალთა ბრძოლები ახლა 15 რაუნდზე მეტს არ გრძელდება. შემდეგ გამარჯვების საკითხი ქულებით წყდება, მაგრამ თითქმის 100 წლის წინათ ასეთი მკაცრი რეგლამენტი არ არსებობდა. (საკდესი).

20 წლის დონა მიურეი მარტო სილამაზითა და მომხიბვლელობით როდი გამოირჩევა. იგი ამავე დროს, უაღრესად ნიჭიერი მძლეოსანიცაა. სპეციალისტები აცხადებენ, რომ მიურეი დიდი ბრიტანეთის იმედია მონრეალის ოლიმპიური თამაშებისთვის 400 მეტრზე რბენაში. დონა ლონდონში ჩამოვიდა საუთჰემპტონიდან, სადაც მშობლებთან ერთად ცხოვრობს. დიდი ბრიტანეთის მძლეოსანთა ფედერაციის ხელშეწყობით მიურეის ყოველგვარი პირობები შეუქმნეს ლონდონში ცხოვრებისა და, რაც მთავარია, ნაყოფიერი ვარჯიშისთვის...

„ოქროს ქალიშვილი“ — ასე უწოდებენ დონას. იგი ყოველდღე სამ საათს ანდომებს წვრთნას და გადაწყვეტილი აქვს თავდაუზოგავად იშრომოს, რათა ოლიმპიურ თამაშებში გამარჯვება მოიპოვოს.

ხომ არ შევებრძოლოთ „ტრადიციებს“?

სპორტი და ტრადიცია განუყოფელი ცნებებია.

ქართველი მოჭიდავეების რაინდობა ტრადიციაა.

ობიექტურობა მეტოქის შეფასებისას კარგი ტრადიციაა.

სტუმარი სპორტსმენების პატივისცემაც კეთილშობილური ტრადიციაა.

მრავალი შესანიშნავი ტრადიცია გვაქვს. ეს ტრადიციები ბუნებრივად, თითქოსდა თავისთავად წარმოიშვნენ. ამ წერილში კი გვინდა ყურადღება გავამახვილოთ ზოგიერთ, რატომღაც „ტრადიციად“ მიჩნეულ უსიამოვნო მოვლენაზე. ბევრი, ძალიან ბევრი გაკეთდა სულ რაღაც ერთ-ორ წელიწადში საბჭოთა სპორტში, განსაკუთრებით ფეხბურთში: კლუბების რეორგანიზაცია, წვრთნისა და დასვენების პროცესების მეცნიერული შესწავლა, ახალი სათამაშო ციკლი, ახალი სტადიონები... ერთი სიტყვით, ცხოვრება წინ მიდის — ეს კანონზომიერებაა, ჩამორჩენა კი მუდამ საწყენია, მით უმეტეს ისეთ რამეში, რისი უკუგდებაც საკმაოდ იოლია, მაგრამ რატომღაც „ტრადიციაზე“ დაყრდნობილი, კვლავ განაგრძობს არსებობას.

დავიწყოთ სტადიონების გაფორმებით.

მაგალითისთვის შორს ნუ წავალთ: საქართველოს მთავარი (ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით) სტადიონი „ლოკომოტივი“.

მატჩის დღე.

გავყვეთ გზას სტადიონისკენ: არაფრისმთქმელი ტრანსპარანტები, მაგალითად იმის შესახებ, რომ სპორტი სიმხნევის წყაროა; გაურკვეველი ფერის ბაირაღები, აღმოსავლური ბაზრობის ელფერს რომ აძლევენ გარემოს; და ბოლოს უზარმაზარი „ქანდაკება“ — აღმოსავლეთის ტრიბუნის თავზე ორი ფეხბურთელი ებრძვის ბურთსა და ელემენტარულ გემოვნებას; დავუმატოთ ამას გონებამახვილური ორენოვანი გამოსვლები, რომელთა შინაარსიც იმაში მდგომარეობს, რომ სტუმართა გუნდიდან გოლის გამტანის ვინაობას რატომღაც ქართულად აცხადებენ, მასპინძლების ბომბარდირს კი რუსულად აცნობენ მაყურებელს. საინტერესოა ვინ დააარსა ასეთი ტრადიცია?

დაიწყო თამაში.

თამაშობს ჩვენი „დინამო“ ცისფერ, თეთრ, ლურჯ, ზოლიან, ყვითელ ან წითელ ფორმებში. ნუთუ საკუთარი გარეგნული სახის უქონლობაც ტრადიციაა?

თბილისელებმა რამდენიმე თამაში გულზე ტალღისებური ზოლით დამშვენებული ფორმებით ჩაატარეს. ეს ალბათ პარალელია მხატვრული ტანვარჯიშის ოსტატ ქალთა ტრადიციულ ფორმასთან!

„ტოტენჰემ ჰოტსპურის“ მენეჯერმა ნიკოლსონმა გაიკვირვა, რატომ არ ქომაგობთ საკუთარ გუნდსო? მართებული შენიშვნაა, მაგრამ ხომ შეიძლება ჩვენი მაყურებლის ეს (ისევ ტრადიციული) პასიურობა საქართველოს პირველი გუნდის საკმაოდ შეუფერებელი სახელით იყოს გამოწვეული?

როგორც სამართლიანად აღნიშნავს მ. მესხი „ცისკრის“ ფურცლებზე, პრიმიტიული სახელწოდებები „დინამო“, „ლოკომოტივი“, „ტორპედო“, „სტროიტელი“, „ტრაქტორი“ და სხვა, სავსებით აკმაყოფილებდნენ თავიანთი აღმოცენებისდროინდელ მოთხოვნებს, ამჟამად კი, თქვენ წარმოიდგინეთ, სასაცილოდაც კი ჟღერენ.

ისევ ტრადიციას გადავაბრალოთ ყველაფერი, თუ გადავხედოთ მოძმე რესპუბლიკების მაგალითებს? — სტადიონი „რაზდანი“ და „არარატი“ ერევანში, დუშამბეს „პამირი“, კიშინიოვის „ნისტრუ“, რიგის „დაუგავა“, გორკის „ვოლგა“, „დნეპრი“, „კარპატი“, „ჟალგირისი“, „ალგა“, „კალევი“ და უამრავი სხვა. იქაც ხომ იყო „ტრადიციები“?!

დავუბრუნდეთ ჩვენს სტადიონებსა და გუნდებს.

ქუთაისის ცენტრალური სტადიონი. ზოგიერთი „უსახელაურსაც“ ეძახის. ამ სტადიონზე თამაშობს მაღალნიჭიერი „ტორპედო“ — ავტოქარხნელთა გუნდი (სხვათა შორის, ქარხნის სპორტკლუბს „კოლხიდა“ ეწოდება, თუმცა უმჯობესია „კოლხეთი“ ერქვას).

მღვრიე ყვითელი ფერის მაისურები, არავითარი ემბლემა, ისევ ბაირაღები.

სტადიონი რუსთავში — „მეტალურგი“,

ბათუმში — „დინამო“,

ზუგდიდში — „დინამო“,

სამტრედიაში — „ლოკომოტივი“.

და ბოლოს, „ტრადიციას“ გაქცეული პირველი მერცხლები: „დილა“, „მერცხალი“, „გურია“... საკავშირო პირველობის მონაწილეთაგან საქართველოს მხოლოდ სამი გუნდი ატარებს ლამაზ, ორიგინალურ სახელებს.

დიახ, ჩვენც გვაქვს ნამდვილი ტრადიციები!

კარგ ტრადიციად იქცა ქალაქის პირველობის ჩატარება მინი-ფეხბურთში. დავაკვირდეთ გუნდების სახელებს: „ვაკე“, „თბილისი“, „ვერა“, დიდუბე“, „საბურთალო“, „მთაწმინდა“. განა ვინმეს მოუვიდოდა აზრად გუნდისთვის „დინამო“ ან „სტუდენტი“ ეწოდებინა? თქვენ წარმოიდგინეთ, თვით თბილისის „დინამოს“ სათადარიგო შემადგენლობას, რომელმაც ამ ტურნირში I ადგილი დაიკავა, „საქართველო“ ერქვა! აი, ესაა ტრადიციის დაბადება, ნამდვილი, მყარი ტრადიციისა, რომელიც საბჭოთა სპორტს შეეფერება.

გადავხედოთ ფეხბურთის სამყაროს, „აიაქსი“, „ჰაიდუკი“, „ინდეპენდიენტე“... მაშ რატომ უნდა ვიყოთ „დინამოების“ და „მემაქრეების“ ამარა? ან რა სპორტული თავდადება მოეთხოვება სპორტსმენს, რომელიც „ჩამომსხმელში“, „მექანიკოსში“ ან „ენერგეტიკოსში“ თამაშობს?

რატომ უნდა ამშვენებდეს „ლიდს იუნაიტედის“ კლუბის ემბლემას ოქროს ვერძის გამოსახულება, ქუთაისელთა მაისურებს კი გაცვეთილი „ტ“ ეკეროს? რატომ არ უნდა დავუპირისპიროთ „ბორუსიებს“, „ლაციოებს“, „ჰიბერნიენებს“ „იბერია“, „კოლხეთი“, „გურია“?

რასაკვირველია, მთავარი კარგი თამაშია, მაგრამ გუნდი სახელით იწყება და სახელითვე შეიძლება დამთავრდეს. მიხეილ მესხის თქმით, სახელი ლამაზი და საამაყო უნდა იყოს (სხვათა შორის, რეგბისტთა „დინამოს“ „ივერიად“ გარდაქმნის შემდეგ არც ერთი თამაში არ წაუგია თავის მთავარ კონკურენტ „ლოკომოტივთან“).

წლეულს ძირეული გარდაქმნები ისახება საბჭოთა ფეხბურთში. იქმნება კლუბები, ემბლემები, დროშები, ჩვენც არ ჩამოვრჩეთ: მოვიხმოთ მხატვრები, კომპოზიტორები, მოდელიერები...

სპორტული დონის ამაღლებისთვის მწვრთნელები იზრუნებენ, საზოგადოებრიობამ კი არანაკლებ მნიშვნელოვან ესთეტიკურ მხარესაც უნდა მიხედოს.

მაღალი გემოვნება, ესთეტიკური დახვეწილობა, ვაჟკაცობა — აი, ჩვენი სპორტის ნამდვილი, ეროვნული ტრადიციები.

ვიყოთ რომანტიკოსები, ვიყოთ რაინდები!

ჩვენ ხომ ყველანი ქართული სპორტის ქომაგები ვართ!

ა. ჟღენტი.

იბეჭდება საკითხის დასმის წესით.

ქ. ეფრემიძე

... 1941 წლის სუსხიანი, მძიმე დღეები იდგა. საბჭოთა ხალხს სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა ჰქონდა ფაშისტ დამპყრობლებთან, მდგომარეობა უკიდურესად დაძაბული იყო. განსაკუთრებით გართულდა საქმე ლენინგრადის ფრონტზე, სადაც მტერს გადაწყვეტილი ჰქონდა, რადაც უნდა დასჯდომოდა, აეღო ლენინის ქალაქი.

ლენინგრადელები უმაგალითო გმირობას იჩენდნენ ბრძოლის ველზე. ქალაქის დამცველთა შორის იყო ასეულის მეთაური კარლო ეფრემიძე, ვაჟკაცი, უშიშარი ჭაბუკი, რომლის ქვეგანაყოფს ერთ-ერთი ყველაზე საპასუხისმგებლო უბანი ეკავა და გაბედული მანევრებით მოწინააღმდეგეს სულის მოთქმის საშუალებას არ აძლევდა. ლენინგრადის ალყის გარღვევაში ქ. ეფრემიძის ასეულმა თავისი წვლილი შეიტანა, თვით მეთაურმა კი მამაცობისა და სამხედრო უნარიანობის გამოჩენისთვის წითელი ვარსკვლავის ორდენი მიიღო.

შემდეგ იყო სისხლისმღვრელი ბრძოლები პოლონეთის, უნგრეთის, გერმანიის მიწებზე, სახელოვანი გამარჯვებები, სადაც გაბედულმა მებრძოლმა მთავრობის ახალი ჯილდოები დაიმსახურა.

ასე ვაჟკაცური დაუბრუნდა მშობლიურ ფოთს მტერზე სახელოვანი გამარჯვების შემდეგ კარლო სილიბისტროს ძე ეფრემიძე, შეუდგა მშვიდობიან ცხოვრებას, მისთვის ჩვეული კეთილსინდისიერებით ასრულებდა საქმეს. ბოლოს იგი ფოთის ს. ორჯონიკიძის სახელობის გემშემკეთებელი ქარხნის საამქროს უფროსი იყო, მთელ თავის უნარს ახმარდა სამსახურებრივ და საზოგადოებრივ საქმიანობას.

ქ. ეფრემიძე 1920 წელს დაიბადა ფოთში, აქ სწავლობდა, ეზიარა სპორტს, კერძოდ, ფეხბურთს, სხვადასხვა დროს იცავდა ფოთისა და ქუთაისის „დინამოს“ კარს, იყო თბილისის „სპარტაკშიც“, მოპოვებული ჰქონდა საქართველოს ჩემპიონის წოდება, თამაშობდა რესპუბლიკის ნაკრებში.

სულ ახლახან ქ. ეფრემიძემ მონაწილეობა მიიღო ფილმ „პირველი მერცხლის“ გადაღებაში, სადაც თურქების მეკარის როლს ასრულებდა.

სიკვდილმა მოულოდნელად გამოაცალა ჩვენს რიგებს ვეტერანი ფეხბურთელი, სამშობლოს წინაშე ვაჟკაცი, პატიოსანი კაცი.

საქართველოს ვეტერანი ფეხბურთელები.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

თავისუფალი ჭიდაობა.
სპორტის სასახლე. 21-22 თებერვალი. საქართველოს პირად-გუნდური პირველობა ახალგაზრდებში. დასაწყისი 11 ს. და 17 ს.

ИНДЕКС 66448
საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14.
უე 08696